

პირი, 4 ნომბერი, 1956 წელი, № 90 (1000) ფასი 30 კაპ. გამომცემის 80-18 წელი

გაგანიონების კაზანდრეხანი

ჩვენი ქვეყნის სპორტული საზოგადოებრიობა დიდი ინტენსივობით მუშაობს...

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ОРган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მთავრობის განცხადება

ეკვიპტის წინააღმდეგ ინგლისის, საფრანგეთის და ისრაელის შეიარაღებული აგრესიის გამო

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობა, მთელი ქართველი ხალხი უდიდესი გულწრფელით შეხვდნენ ცნობას ეკვიპტის სახელმწიფოსა და მისი ხალხის წინააღმდეგ ინგლისის, საფრანგეთის და ისრაელის მთავრობებისა და შეიარაღებული ძალების აგრესიული მოქმედების შესახებ. გამომდინარე რა როგორც იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ნების მორჩილი შემსრულებელი, ისრაელის მმართველმა ექსტრემისტულმა წრეებმა და მთავრობამ უგულვებელყვეს თავიანთი ხალხის, თავიანთი სახელმწიფოს მომავლის ინტერესები და დააღვენ აგრესიის დანაშაულებრივ გზას...

ბი და სამხედრო ზომალდები ბომბავენ ეკვიპტის მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებს. ინგლისისა და საფრანგეთის ჯარები შეიჭრნენ ეკვიპტის სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების უხეში დარღვევაა. საქართველოს მშრომელნი გადაჭრით გამოხერ ამ აგრესიულ მოქმედებას და გულწრფელ თანაგრძობას უცხადებენ ეკვიპტელ ხალხს მის სამართლიან ბრძოლაში თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. საქართველოს სსრ მთავრობა, ქართველი ხალხი ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ მთავრობები მსოფლიოს ქვეყნებისა, რომლებსთვისაც ძვირფასია მშვიდობა, მთელი პროგრესული კაცობრიობა სასტიკად დაგმობენ ინტერვენტების მოქმედებას. ჩვენი მოვითხოვთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისაგან დაუყოვნებლივ მიიღოს გადამწყვეტი ღონისძიებანი აგრესორთა წინააღმდეგ, რომლებმაც უხეშად დაარღვიეს სუვერენული ეკვიპტის სახელმწიფოს კანონიერი უფლებები. ქ. თბილისი, 1956 წლის 1 ნოემბერი.

პოლიტიკური ვალაპუკი

კუბისეგვი იმპერვესტისის ნიზოსანთა შეჯიბრება ტარდებოდა. ძლიერი ქარი აფერხებდა ღონისძიებებს ნორმალურად ჩატარებას. ამის მიუხედავად ასპარტოზში ჩაებნენ უძლიერესი სპორტსმენები, შეჯიბრების დროს ერთ-ერთ კატერის ბუქსირით მიქონდა დოსაადის იასტები, ორი მათგანი ქარმა გაიტაცა. ერთი მანინვე გადაბრუნდა. იასტები იღუპებოდა. ეს შემთხვევის "ბურვესტის" კის საწყლოსნო სადგურთან. იასტების გადასარჩენად გაეშურა მოტორიანი ნავი, რომელსაც ვ. ლარინი მართავდა. ნავზე იყო აგრეთვე შეჯიბრების ერთ-ერთი მონაწილე, კუბისეგვის ინდუსტრიული ინსტიტუტის სტუდენტი, პირველთარიგოსანი გ. როდიუშკინი. სწორმდგილი ნავი რამდენიმე წუთის შემდეგ დაეწია იასტებს. როდით შეეძინა სწრაფად შეეახა შექმნილი მდგომარეობა და სწორი გადაწყვეტილება მიიღო — იასტზე გადახტა, რომელსაც აქეთ-იქით აქანაგებდა ვოლგის ტალღები. სპორტსმენის ვამთაცვლილემამ ძლია ქარისა და წყლის წინააღმდეგობას. იასტა გადაარჩა. მეორე იასტა ტალღებს გამოსატყა ლარინმა. შეჯიბრება გაგრძელდა. 30 გუნდში, რომლებიც "მ" კლასის შეერთბორტებით იბრძოდა გაბარჯვებისათვის, პირველი იყო გ. როდიუშკინის ეკვიპაი.

სიხადე გაინკაპი

მოტორიანი ველოსიპედი ახალი როლია საბჭოთა ტექნიკაში, მაგრამ არსებულ კომპლექტური მოტორი "ბრტიში", რომელიც მანამდე გამოიყენებოდა, ვერ აკმაყოფილებდა მომხმარებელთა მოთხოვნებს. ახლა ეს მოტორი შეიცვლება ხარკოველი გელომამოქარვებელი "გ-4" ათ, რომლის ავტორია ხარკოვის საველოსიპედო ქარხნის მუშა თ. პრინალი. ახალი ერთდღეობიანი, ორტაქტიანი მოტორი საექსპლოატაციოდ ხელსაყრელია და ეფექტური, აქვს ერთი ცენვის ძალა. ველოსიპედს ამ მოტორით შეუძლია საათში განავითაროს 40 კილომეტრი სისწრაფე მანძი, როცა "ბრტიშის" სისწრაფე უდრიდა 28 კილომეტრს. ახალი მოტორი 100 კილომეტრზე წავს 1 ლიტრამდე ბენზინს.

ლიტერატურა


გასული წლის ჩემპიონმა პოკეიში სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდმა წარმატებით დაიწყო მამდინარე წლის საკავშირო ჩემპიონატი. მან უკვე სამი შეხვედრა მოიგო. მაგრამ მითხვე მატჩში ჩემპიონი ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს დინამოელებმა, რომლებმაც ამ დღეს კარგი თამაში აჩვენეს. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

ბავჯუპი გავგაპკაპი

30 ოქტომბერს ტაშვენტში ჩატარდა უკანასკნელი შერჩევითი შეჯიბრება მძლეობაში. შესანიშნავ წარმატებას მიაღწია ბირთვის კერაში ერვენელმა სპორტის ოსტატმა ვ. ოვსეპიანმა, რომელმაც ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა — 17,67 მ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სომხეთის სპორტკადის შემდეგ ვ. ოვსეპიანი ხუთჯერ გამიგა შეჯიბრებაში და ხუთჯერვე დიდ წარმატებას მიაღწია. 100 მეტრზე რბენაში ვათა შორის უძლიერესი იყო ბურჯვესტნიკელი ლ. ბარტენევი — 10,3. ლ. ბონდარენკომ გაიმარჯვა სივრცეზე ხტობაში — 7 მეტრი და 57 სანტიმეტრი. ქალთა შორის სივრცეზე ხტობაში უძლიერესის სახელი კვლავ თბილისელმა ნ. დვალაშვილმა დაიმსახურა, რომელიც ამ დღეს 6,05 მეტრზე გადახტა. „გაპკაპი“ ბავჯუპი გავგაპკაპი


„გაპკაპი“ გავგაპკაპი


გემმა „გრუნიაში“, რომელსაც მეტურნის ოლიმპიურ თამაშებზე მიჰყავს საბჭოთა სპორტული დელეგაცია, უკვე გადააკეთა კვატორი და ვეზო ავსტრალიასაქენ აიღო. გემზე არ წყდება სპორტული ცხოვრება. ყოველ დღით მისი ბაქანი უდიდეს სპორტულ დარბაზს წაავსებს — ტარდება დილის გამამხნეველი ვარჯიშები, რის შემდეგ მომავალი ოლიმპიადის მონაწილეები იწყებენ წერტას. სადილის შემდეგ გემზე გაისმის ლაპარაკი ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე — ეს უცხო ენების შემსწავლებელი წრეების მეცადინეობაა. ყველაზე მრავალრიცხოვანია ინგლისური ენის შემსწავლებელი წრე, რადგან ავსტრალია ინგლისური ენის ქვეყანაა. ავსტრალიაში ჩასვლამდე დამთავრდება გემის პირველობა ქალაქში, რომელიც წასვლის დღეს დაიწყო. მიმდინარეობს შეხვედრები მავიდის ჩოგბურთშიც.



საკმაო პოპულარობით სარგებლობს საქართველოს მშრომელთაში სპორტული გაზეტი „ილელო“, რომელსაც გარკვეული წელიწადი შეაქვეს ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის კეთილშობილურ საქმეში, რესპუბლიკაში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობის შემდგომ განვითარებაში. პარტიული და საბჭოთა პრესა ყოველთვის იყო და არის სახელმძღვანელო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის აქტიური თანამშემუშე პოლიტიკური, საზოგადოებრივი, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე. იგი მშრომელთა ფართო მასებს ზრდის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ხალხთა ძმური მეგობრობის სულსისკვეთებით, მაღალი პატრიოტული შეგნებით. პრესა მჭიდროდ რიგებდა რაზმავს ჩვენს ხალხს კომუნისმის მშენებლობის დიდი საქმისათვის ბრძოლაში. სპორტული გაზეთი მოწოდებულია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს სოციალისტური საშობლო სამდეო უსაზღვრო სიყვარულით გამსჭვალული, გაამართლი, მხენ, მორალურად სექტიკი ახალგაზრდათაბის აღზრდაში, დახმაროს კომკავშირულ, პროფკავშირულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციების მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობის შემდგომ აღმავლობაში, გვერდში ამოუდგეს თვითეულ სპორტსმენს ახალი რეკორდისათვის, მსოფლიო მიღწევისათვის გრძოლაში. უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ რა პრესის როლს ჩვენს ქვეყანაში სპორტული მოძრაობის განვითარებაში, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუდალავად ზრუნავენ სპორტული გაზეთების ქსელის გაფართოებაზე, მათი ბრძოლისუნარიანობის ამაღლებაზე. ამ მამობრივი ზრუნვის მკაფიო გამოხატულებაა, ექრძოდ, ის, რომ 1949 წლიდან ჩვენს რესპუბლიკაში განახლდა გამოცემა სპორტული გაზეთის, რომელსაც „ილელო“ ეწოდა.

დღეს გამოვიდა „ილელოს“ მეთხე ნომერი. აღნიშნავს რა თავისი ცხოვრების ამ მნიშვნელოვან თარიღს, გაზეთი აჯამებს განვლილ პერიოდში ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდისათვის, რესპუბლიკაში სპორტის შემდგომი აღმავლობისათვის გაწეული მუშაობის შედეგებს. გაზეთი იყო დაუდალავი პრაქტიკანობის იმ საუკეთესო, მოწინავესი, რაც მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობას დაუპოვებია ჩვენს ქვეყანაში. გაზეთი დაუღობლად ამხელდა ჩამორჩენილ ფიზკულტურულ კოლექტივებს, სპორტულ საზოგადოებებს, მკაცრად აღაშქრებდა ცალკეული სპორტსმენების, მწვრთნელების მხრივ ქედმაღლობისა და ყოყმანის, არაკოლექციონერი დამოკიდებულების ფაქტების წინააღმდეგ, დღის სინათლეზე გამოქონდა რესპუბლიკის სპორტული ცხოვრების ჩრდილოვანი მხარეები, ამასთან ფართოდ განაზოგადებდა მოწინავე კოლექტივების მუშაობის გამოცდილებას, სპორტსმენთა წვრთნის პროგრესულ მეთოდებს, ენერგიულად უჭერდა მხარს ფიზკულტურული აქტივის წამოწყებებს. ჩვენი გაზეთი თავის მუშაობაში ეყრდნობა ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა ფართო მასების შემოქმედებით ძალდება. გაზეთს ჰყავს კორესპონდენტთა და აქტივის ფართო ქსელი. „ილელო“ თავის ფურცლებს ხალხისი უთმობს რესპუბლიკის მოწინავე მწვრთნელებს, სპორტსმენებს, ფიზკულტურულ მუშაკებს. გასულ წელს მოიწყო მკითხველთა დაუსწრებელი კონფერენცია, რომლის მონაწილეებმა ბევრი მნიშვნელოვანი წინააღმდეგა წამოაყენეს გაზეთის მუშაობის გასაუმჯობესებლად. გაზეთი საქიროდ თვლის ყოველმხნ.





ამასწინად და მთავარი პარ-
თულ კილიადაში უამრავი რეს-
პუბლიკური შეჯიბრებაში გამარჯ-
ვებულმა: მარცხნივ — ა. სურ-
გუაშვილი, ა. ქუცინაშვილი, დ.
ლორთაძე, თ. ქავთაშვილი, ე. მუ-
ხიანიანი, თ. ჩხეიძე, შ. გუგუა-
შვილი, შ. კახაშვილი.

მაკითხველთა სიგზალუბი

პირთი შავიზრების მესახე

ამ დღებში ცავრში ჩატარდა ველისპედიკით შეჯიბრება, რომელიც ახალგაზრდული თამაშების პრიორიტეტში შედგება. შეჯიბრება მოწყობილია კოლიტეის მისამართზე, რომელიც თანამდებრივი სამუშაოების გარეშე ფიზიკულად არის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე. კოალიციის კომიტეტის სხდომის გარეშე მთავარ მსაჯედ ლინინა ცავრის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ფინანსისტის მასწავლებელი გ. გუგუა. მსაჯეთა კოლეგიაში შეყვანა მოწვეულია გუნდების წარმომადგენლები.

ასაბერაშო ჩატარდა რაიონული ცენტრის ქუჩებში, მარამ ის, რომ მისამართები და გზაგარეშე არ არის ერთი მილიტერი, კომპანიონური და ფიზიკულურული არ დიფერენციალურად წესრიგის დამცველი, რის გამოც ლავანტის მისამართზე სპორტული სკოლის მოსწავლეებმა თ. პერიშვილი, გ. სულხანიძე და ვ. ჯაფარიძე ტრავმა მიიღეს, ხოლო მთავარმა მსაჯემ, რომელიც მდინარის მთავალბრძენ დასრულებულ და სულხანიძე დასრულებული გ. სულხანიძე იძულებულია მატებით ერთი წრე გვერდებზე და საბრძოლო ადგილის მოპოვების შესანიშნავი დამცველი.

სწორედ მთავარი მსაჯის წყალობით გუნდური პირველობა დაუშინა რეზულტატების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სპორტსმენებს. ქალთა შეჯიბრებაში კი ვერ გამოავლინეს გამარჯვებული, რადგან ვერ დაადგინეს სპორტსმენთა ასაკობრივი გულუფალი.

აღნიშნული ღონისძიების აპარატინიზებულად ჩატარებამ მონაწილეთა და მასწავლებელთა სამართლიანი გულსწყობა გამოიწვია.

დ. ხვეციანი

დაპირებანი და სინამდვილე

მრავალჯერ ითვება და დიწერია ტყებულის სტალინის საჯალალო მდგომარეობის შესახებ, მაგრამ საქმეს მინც არაფერი ემეგება. ცარიელ დაპირებებს პრაქტიკული შედეგი არ მიუყვლია. ფეხბურთის მოედანს დღესაც უპატრონოა მითვისებული.

სტალინის უქონლობამ მნიშვნელოვანი დადი დასვა ტყებულებს ფიზიკულურული მომზადების ამაზე ნათლად მეტყველებს შემდეგი ფაქტი: ტყებულის ფეხბურთელთა კოლეკტივი წესს წარუმატებლად გამოავლინა რესპუბლიკური პირველობაში. მეზატე ახალგაზრდებს უნდა შეემუქმებინათ სპორტში ნორმალური მეტადინობის პირობები.

თ. ციციშვილი, მ. გურგენიძე, შ. ქახაშვილი.

სკორტი უგულავილყოფილია

ძნელია ყანბების რაიონში დასასვლელი სიყვითლე ფიზიკულურული კოლექტივი, სადაც გაიწმინდა თურმაც უმარტივესი ტიპის სპორტული ბაზა და ინფრასტრუქტურა. ამის გამო ყანბეგელი ახალგაზრდები თითქმის მთლიანად მოწყვეტილი არიან სპორტის ყანბების რაიონში რიო საშუალო სკოლა, მაგრამ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდას არც ერთ მთავანში არ ეთიშება სათანადო ყურადღება, არა აქეთ ბაზები, ინფრასტრუქტურა, რომელიც ნაწილობა სპორტული იზრათების სახელებზეც არ არის.

ყანბეგელი ფიზიკულურულ გავლენილი დასმარება ესპორტებით.

ს. ჯაბაშვილი

ს ა ჭ ი რ უ შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

დიდი ხანი არ არის, რაც დამთავრდა საზოგადოება „კოლმეურნის“ რესპუბლიკური პირველობა ქართულ კილიადაში. ჩვენი ხალხი სპორტის ამ სახეობას რომ განსაკუთრებული ინტერესითა და სიყვარულით ეკიდება, ამასე სიტყვის ვარჯიშდება არ არის საქართ, მაგრამ რაკ ეს ასეა, ჩვენი გემარტებს, რაც შეიძლება ყურადღებით აწონდა-აწონით შედგები ამ შეჯიბრებისა ამ მიზნით, რომ შემჩნეული წარმატებებისა და ნაკლებობებისა აღნიშნით ხელი შეუწყით სპორტის ამ ნაციონალური ხახეობის შემღვნი წინსვლასა და განვითარებას. რაგორც სპორტის ყველა ნაციონალურ სახეობას, ასევე ქართულ კილიადასაც თავისი სპეციფიკა, თავისი სახე და თვითმყოფლობა ახასიათებს. რა დასაშალოა, რომ ჩვენს ხალხს ძალიან ხშირად თავი მოუწონს ქართული კილიადას კაცობრივი-ხევიებით, რაინდული და ვაკაციური შემართებით, პირდაპირი მისვლით. თუ ვინმე საჯარო გამოსვლების დროს (ღონის, დღობები) გვერდს აუქციდა საუკუნოებრივად დამკვიდრებულ ქართული კილიადას წესებსა და წვევებს, ეს ყოველთვის იწვევდა ხალხის აღშფოთებას და რისხვას. ჩვენი ცხოვრების რა დასრულვით არ უნდა ავიღოთ, რაც კი ხალხს შეუქმნია, ჩვენი ის მიგვაჩინა დაუფა-ხებელ საუნჯედ, ხოლო საუნჯეს კი უფრობილდობაში, თავს დატარალებინ, მხურვალე მსარუნელობას არ აკლებენ. ამ შემთხვევაში კი რას ვაკეთებთ ჩვენ? ძალიან ხშირად ვამჩნ

ნევთ, რომ სადაც რაღაცა ვერ არის რიგზე, სადაც რაღაცა ირღვევა, ის არ არის, რაც უნდა იყოს და პირველ რიგში უნდა დაზარალებდნენ სპეცილისტები და არა ჩვენი უბრალო მაყურებლები, მაგრამ რაკი ასეთს ვერაფერს ვხედავთ, იძულებული ვართ ჩვენი გამოთქვათ ზოგიერთი ჩვენი შენიშვნა.

ქართული კილიადას განვითარებისათვის განსაკუთრებით უნდა გავამახვილოთ ყურადღება სპორტის საზოგადოება „კოლმეურნეზე“. ამ საზოგადოებაში თავს იყრიან არა ის სპორტსმენები, რომელიც ვაწვრთნიან და ვაწვრთნენ სასპორტო დარბაზებში, ინსტიტუტებში და სხვა ასეთ დაწესებულებებში, არამედ ძირითადად კოლმეურნეები და სასოფლო-სამეურნეო დარგის მუშაკები არიან და ყველაზე მეტად მათ უნდა მივუძღვინოთ ის, რაც ხალხიდან მომდინარეობს. ეს, ასე ვთქვათ, სწორედ ის ძირითადი მასაა, რომელიც ბაროქურით განსახლდრავს ამონის სპორტის ამ სახეობაში. თუ აქ ვერა გვაქვს საქმე კარგად, მაშასადამე, სხვაგან რომ უარესი ენახოთ, არ უნდა ვაგვიკვირდეს.

ჩვენს პრესაში არაერთხელ აღინშნა, რომ ქართული კილიადა ის აღარ არის, რაც იყო; დაიკარგა მისი შინა და ღიაობა. რაც თავის დროზე პრესამ აღნიშნა, ზოგი რამე მინც უთუოდ დადასტურდა ზემოხსენებულ შეჯიბრებაში. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის ვაკაციონობა, რომ ფალაქები ძალიან ხშირად ბოლომდე არ იბრძვიან ერთნაირი თავგაბრებით, ვაკაციური პირდაპირობით და შეუდრეკელი შეერთებით. შეფასების ქულბორიგებასისტემაში ბოლომდე ბრძოლის ხალხის დაუკარგა მოქიდავეს და მას „შემოკრის“ გრძობა მთავრდება. გამოვა თუ არა მოქიდავე, თავგამოვლებით ცდილობს, რაღაც არ უნდა დაუკრძლეს, რადგან საჯაროში ქულა „აქრას“ მოწინააღმდეგეს და შემდეგ დება, თავდაცვაზე გადა-

დის, რადგან იცის, რომ ქულბობით გამარჯვება უკვე ვანდობებული აქვს. ასეთ დროს, რაღაც თქმა უნდა, ვაკაციური შემართების მაგიერ მაყურებელი იქნება უბრალო და უშედეგო მძიგლით, ამოა წვალბობით და მოჩვენებითი ბრძოლით, რაც არასოდეს არ იყო ქართული კილიადას დამახასიათებელი. რომ ეს ნამდვილად ასე იყო, ამის დასადასტურებლად საქართველოში მოვიგონით ის, რასაც ამ შეჯიბრებაში იძულებით მიმართავენ მთავარი მსაჯე — ჩემპიონატის მოწვეული მრავალმა წყვილმა მიიღო ვაკაციონობა პასურთი კილიადასათვის.

რა ემეგება ყველაფერ ამას? ვამტკიცებთ უნდა ითქვას — პასურის ფაცეა მიჭირს. მე იარას ვეხევა, საკითხი სპეცილისტებმა უნდა გადამარა.

მეორე და, ჩემის აზრით, ყველაზე არსებითი და მტკიცენული, რაც ამ შეჯიბრების დროს ძქნა შემჩნეული, გახლავთ ის, რომ ჩვენი მოქიდავეები ფეხს ან სულ არ ხმარობენ, ან და ძალიან ნეშითადა. თითქმის ყველამ შენიშნა ეს და იყო ამასე სჯადა პატივობა. ბევრს ეს შენიშვნა შესაძლებელია აბსურდოდ მოეჩვენოს, მაგრამ ეს არ იქნება სერიოზული. ქართული კილიადა უცხოურად წარმოშობის სპორტის ანალიგური სახეობებთან, უმეტეს შემთხვევაში სწორედ იმით განსხვავდება, რომ ფალაქი ფეხსაც და ხელსაც ერთნაირად უნდა „აიშუავედეს“.

სამწუხარო ის არის, რომ თუ ვახეთის ზონის (საგარეო, ლავიდეხი, წითელწყარო) ფალაქები კიდევ ხმარობდნენ ფეხს და ბეგრი ლამაზი ილიეთის მოწვეული ვაკაციონობა, როგორც ჩანს, ქართლის ზონაში (კასპი, გარეუბანი) ამას ამეხად ძალიან ნაკლებ ყურადღებას აქცევენ და ეს სამწუხაროა, რადგან ქართული კილიადას ერთერთი კლასიკური კუთხეთაგანია. ამას, ჩემის აზრით, ძალიან მიუძღვით მწვეთლებს და არა მოქიდავეებს, რაც ხაზგასმით უნდა იქნეს აღნიშნული და რასაც განსაკუთრებული

ყურადღება უნდა მიექციონ მათ, ვინც ეს ეკითხებათ. ქართული კილიადას მრავალფეროვანი ილიეთების გამოყენების საქმეში არც სხვა მხრივ უნდა გვეჩინდეს მდგომარეობა კარგად მისი ვალო, რომ მოქიდავეები ფეხს აღარ ხმარობენ, ჩვენ ნებისადა ვართ მოწვეული ისეთი ლამაზი ილიეთისა, როგორც არის გარესარბა, ნამგული, უფრო კი შუაკური და შუსარბა, მაგრამ სხვა ილიეთებიც რომ მივიწყებულა, ესეც უნდა აღინიშნოს. საერთოდ ამ შეჯიბრებაში უმრავლესობა ერთსა და იმავე ილიეთს იყენებდა, სახელობა: მხარზე მოკიდებას, თეძოს და სხვ. მთელი შეჯიბრების მსვლელობაში არც ერთხელ არავის არ გამოუყენებია „ქისრული“, არც „ნამგული“, ხოლო „შუსარბა“ — იშვიათად. რა თქმა უნდა, ვერც ერთი მოქიდავე ვერ დაუფუღებია ყველა ილიეთს სრულყოფილად. მაგრამ ცოდნით კი ყველა უნდა იცოდეს.

ამ შეჯიბრების ყველაზე დიდ ნაკლად ის ვარჯიშება უნდა ჩაითვალოს, რომ მიმე წინა მოქიდავეები ნაკლებად იყენებენ წარმოდებრივს, ხოლო იმათგან, ვინც გამოვიდა, ზოგიერთი მინც, სრულიად არ იღებდა წიქსის სისამარეზე, მარტო წინით თუ ამართლებდა თავის აქ ყოფნას, თორემ სხვანაირად არც ტექნიკით და არც ძალ-ღონით თინავდაც არ იყო შესაფერისი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საერთო ნაკლი და სენია არა მარტო ამ შეჯიბრებაში, არამედ სხვაგან, სხვა დროსაც, ყველაზე ნაკლებად მძიგ წონის მოქიდავეები გამოიღებენ. რატომ და რისთვის? ნათელ კარდელაქებისა და მეკვიშელებების ქვეყანაში, მიმე წინა მოქიდავეები არ მოიძებნებიან?

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ზოგიერთი შენიშვნისა, ყველა გუნდი, რომელიც კი ამ შეჯიბრებაში გამოვიდა, კარგად იყო მომზადებული და თვითონ შეჯიბრებაც ძირითადში შესანიშნავად ჩატარდა.

ს. რომანიშვილი

კვდავ კულა გლდანელის შესახებ

სიხარულით მეშვიდე ცას წვია, ეხაოდა ხალხის ნატრა აბდა, კულასაც გამოუნდა რბილის მატლი“ ცხებუას სახით.

ნუთუ სიხარულით შეესაბამება „ძველი მოქიდავის“ ეს მტკიცება? მოუხმინოთ სხვა ფაქტები? კულა გლდანელი 1888 წელს ვაწვით „დროებაში“ წერდა: „მეც იმ აზრისა ვარ, რომ ძრელ დღი უსამართლობა ფული გადახდებენონ და ნამეტნავად მუშა ხალხს იმის ყურებისათვის, რაც ჩვენში ყოველთვის მუჭით ყოფილა. მე ჩემს დღეში კილიადას ფულის მოხაგებხელობად არ ვაგებ.“

კულა გლდანელის ეს სიტყვები არ ყოფილა ლიტონი განცხადება. სხვებზე უყურებდნენ გლდანელი იმავე ბრალდებას, რასაც „ძველი მოქიდავე“, და აი რა პასუხი ვაწვია მათ განთქმულმა ფალავანმა: „14 კილიადასიდან 10 ნაყულების სასარგებლოდ მიქიდავია, თუ ამისთანა კილიადას ათამბოშვილი აგადრევიში სტუნდას“ ეძახის, დღე ეგრე იქნ მამს! მე კიდეც მხად ვარ იმს გლდანელის ვიქიდაო, ილიონ ჩემი შრომითა და უნარით ნაყულებსა და ვაკაციებულებს რამე ერვია“ ვაწვით „დროებაში“ რედაქცია შენიშნა: „გლდანელის კილიადას საქველ-

მოქმედო მიზნისათვის 500 თუმანზედ (5.000 მან.) მეტი შეგროვდა გერს“.

ცნობილია ა. რაზვიაშვილის მოგონებაც, რომლის თანახმადც, რაცა ვაწვა კულასათვის შეეჩილა ფული არ მაქვს სწავლის გასარქმობლად, გლდანელს უპასუხია — მოვიკდეს კულა, თუ არ დავგეხმარე. მართლაც, თინათში ასჯელა საქიდაოდ და მთელი შემოსავალი ვაუხათობს გადაუცია. როგორც მოტანილი ფაქტებიდან ჩანს, კულა გლდანელის ფული საქველმოქმედო მიზნით უგროვებია და ნამდვილად საშვლიშვილო საქმე უქმნებია.

ნათქვამის დასამტკიცებლად ჩვენ მოვიტანთ კიდევ ერთს უტყუარსაბუთს, კერძოდ, ცნობას, რომელიც მოცემულია „უფისტყაობის“ ინგლისურ ენაზე პირველი მთარგმნელის მ. უორდრობის შიხის ილივიერ უორდრობის წიგნში „საქართველოს სამეფო ანუ მოგზაურობა ქალბის, დენისა და სიმღერის ქვეყანაში“. ამ წიგნში, რომელიც 1888 წელს გამოცვა ლონდონში, ავტორის აღწერილი აქვს თავისი მოგზაურობა საქართველოში 1887 წელს. ერთ ადგილას ილივიერ უორდრობი წერს: „...უნდა მოვახსენიოთ, რომ მე წილად

მხედა უღიდეხი ბედნიერობა დავსწრებოდი ერთ-ერთ საუცხოო შეჯიბრებას, სადაც ფალავანი გლდანელი შეება ვინმე მამაც იმერულ მოქიდავს. კილიადა უადრესად საინტერესო გამოვიდა და ამავე დროს ინტერესი მამაც, რომც აფიშებდნენ ვაკაცი, რომ შეჯიბრების მთელი შემოსავალი განუთენინი იყო ვიდაცა კამუეის დასახმარებლად, რომელსაც სათანადო სახხრები არ გააჩნდა პეტერბურგში სწავლის გასარქმობლად... იორივე ფალავანი ლამაზი და წარმოსადგი იყო, მაგრამ გლდანელი ნამდვილ ბერს კარებს მოვაკონებდათ, სახითაც მეტად მიზიდველი ვახლდათ. მასურებლების სიმართა მისკენ იყო და მართლაც ვამართლა უმდეველი სახელი, როცა რამდენიმე წუთში ვაკაჩა მიწას დასავლეთენი ფალავანი...“

უცხოელი მოგზაურის ეს სიტყვები ერთხელ კიდევ მოწმობენ, რომ კულა გლდანელი იყო კეთილშობილური თვისებებით შემკული ფალავანი.

მ. შარვაში

სურათზე: მ. უორდრობის წიგნში მოთხრობილი ილუსტრაცია, რომელსაც ქვეშ აწერია „ქართველი მოქიდავე“.



“ვიკრიის“ 1888 წლის № 160-ში გამოქვეყნებულია „ძველი მოქიდავის“ სტატია, სადაც ავტორი მაღალი რაინდული ღონისძიების ამ კობს ცნობილ ქართულ ფალავანს ზინაზარელს. ამავე სტატიაში ავტორი რატომღაც ჩრდილს აუენებს განთქმული მოქიდავის კულა გლდანელის (ივანე ყიბინელაშვილის) ვაკაციურ სახელს, რომლის „გლდანაცა“, ე. ი. წაქცივა საყოველთაო სურვილი ყოფილა, რადგან კულამ, როგორც „ძველი მოქიდავე“ შენიშნავს, „ვაკაციური სახითი მისცა ამ რაინდულსა და წმინდა ხარო თავშესაპტივარს: ფულით შემოიღო კილიადა, ვაკაციონობა რაღაც სარბიელი და უწყალოდ სცარცვავდა დაბალ ხალხს“... ამიტომ, როცა „ნებისუაბ“ ვაკაჩა გლდანელი მიწაზე ვაკაციის-მამის ლავაშვით“, „ძველი მოქიდავე“

თბილისში დაბრუნდა საქართველოს მონადირეთა კავშირის პირად-გუნდური პირველობა სასტენ-ლო სროლაში. პირველ ჯგუფში, რომელშიც ოსტატები და თანრიგოსნები მონაწილეობდნენ, ადგილიდან სროლაში გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა თბილისის პირველმა კოლექტივმა (ე. ჯაბახიძე, ზ. მაჩხანელი, შ. ჩანია, შელი, ი. საგანელიძე და გ. ძეგელიძე). — 447 სანაშენე 500 შესაძლებლიდან, 416 ჭულით მეორე ადგილზე გამოვიდა აფხაზეთის გუნდი, მესამე ადგილი წილად ზედათ მახარაძე მსროლელს.

ბაქოში ჩაინიჭი რეკორდი



პირად პირველობაზე ზ. მაჩხანელმა პირველ ორ სერიაში ყველა სამიზნე დაამსხვრია. მესამე სერიაში მხოლოდ ერთ თევზს ვერ მოარტყა, მეოთხე სერია კი სუფთად გაიარა და საერთო ჯამში 100 სამიზნედან 99 დაზიანა და გაიმართა საკავშირო რეკორდი, რომელიც ბ. ანტონოვს ეკუთვნის. მეორე ადგილზე გამოვიდა სპორტის ოსტატი ე. ჯაბახიძე, მესამე ადგილი დაიკავა სპორტის ოსტატმა შ. ჩანიაშვილმა.

მეორე ჯგუფში მონაწილეობდნენ ცხაკაის, გურჯაანის, ლაგოდეხის, მცხეთის, ხაშურის, ზუგდიდის, ახალციხისა და ვორის უთანრიგო მსროლელები. მათთვის პირველ დღეს მოეწყო სროლა მრგვალ სტენდზე. გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა გურჯაანის კოლექტივმა, მეორე — მცხეთამ, მესამე — ცხაკაიამ. პირად პირველობაზე ყველას აჯობა მცხეთელმა ნ. კაპანაძემ, რომელმაც 50 შესაძლებლიდან 32 სამიზნე დაზიანა.

მეორე დღეს ჩატარდა შეჯიბრება წვეთი სამიზნეზე სროლაში სამივე ჯგუფისათვის. თავდაპირველად დაიწყო სროლა თბილისის პირველობა და მახარაძის კოლექტივებმა. გაიმარჯვეს მახარაძელებმა, რომელთა შემადგენლობაში იყვნენ სპორტის ოსტატი ბ. მევრელიძე, პირველთანრიგოსნები რ. ჩიკოლიძე, გ. ბორჩხაძე, მეორეთანრიგოსნები ვ. კეკელიძე და ე. ურუშაძე.

პირად პირველი ადგილი წილად ღდა სოსოშვილმა ი. ციციშვილს, რომელმაც დაზიანა 30 წვეთი სამიზნე 50 შესაძლებლიდან. გამარჯვებულს წვეთი სამიზნით ჩამორჩა ზ. მაჩხანელი. დამატებითი სროლის შემდეგ მესამე ადგილზე გამოვიდა


ახალგაზრდა მახარაძელი მსროლელი გ. ბორჩხაძე. მეორე ჯგუფის მსროლელთაგან უკეთესი შედეგი ჰქონდა ცხაკაელ ლ. ჯიბრიას. მესამე ჯგუფის მსროლელთაგან — ე. მელიქიშვილს. შეჯიბრების უკანასკნელ დღეს პირველ ჯგუფში ჩატარდა სროლა მრგვალ სტენდზე. ე. ჯაბახიძემ დაზიანა რა 93 სამიზნე 100 შესაძლებლიდან, დაიკავა პირველი ადგილი. მაჩხანელი გამარჯვებულს ორი ქულით ჩამორჩა. ერთიანი შედეგით დაამთავრეს სროლა თბილისელმა ოსტატმა ი. საგანელიძემ და მახარაძელმა სპორტის ოსტატმა ბ. მევრელიძემ, მესამე ადგილი მიეკუთვნა თბილისელს, რადგანაც მას უკანასკნელი ორი სერიის ჯამში დაზიანებული ჰქონდა სამიზნით მეტი.

მეორე და მესამე ჯგუფის მსროლელები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ადგილიდან სროლაში. მეორე ჯგუფის მსროლელთაგან გაიმარჯვა გურჯაანელმა ი. სარქისაშვილმა, მეორე ადგილზე გამოვიდა ა. პეტრიაშვილი (ლაგოდეხი) და მესამეზე — მცხეთელი ნ. კაპანაძე. ქალებიდან უკეთესი შედეგი ჰქონდა

ერევის ველოტრეკზე მოეწყო „სპარტაკის“ საქალაქო ორგანიზაციების სამატჩო შეხვედრა, რომელშიც ტულის, კიევის, მოსკოვის, თბილისის, ერევნისა და სხვა ქალაქების 110-ზე მეტი სპორტსმენი გამოდიოდა.

უკვე პროგრამის პირველხვედრებში (გიტი ადგილიდან 1.000 მეტრზე) აღნიშნულ იქნა სპარტაკლო შედეგი. იგი დაამყარა ტულის წარმომადგენელმა სპორტის ოსტატმა ნ. ეგოროვამ. მან დისტანცია დაფარა 1.20, მ, რაც „სპარტაკის“ ცენტრალური სამატჩო ახალი რეკორდია. ვაჟთა შორის ამ სახეობაში ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა თბილისელმა ე. ზანდუკელმა. მისი შედეგი 1.14, მ ახალი რესპუბლიკური რეკორდია. კიეველი სპორტის ოსტატი ლ. კოლუმბეტი გამარჯვებულს 0,8 ჩამორჩა.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა შეჯიბრება სპრინტში. ქალთა შორის კონკურენციის ვარეში იყო ნ. ეგოროვა, რომელსაც მიენიჭა პირველი ადგილი. დაძაბული ბრძოლა გაიმართა ვაჟებში, სადაც პირველობისათვის იბრძოდნენ თბილისელები ე. ზანდუკელი და ე. ჯოხაძე, რბოლას მთელს დისტანციაზე ლიდერობდა ე. ჯოხაძე, რომელსაც „თვალში ეგდა“ ზანდუ-



კელი. უკანასკნელ სწორზე ზანდუკელმა გვერდი აუარა მოწინააღმდეგეს და ფინიშთან პირველი მივიდა, მაგრამ გამარჯვებულს მაინც ე. ჯოხაძეს მიენიჭა, რადგან ზანდუკელმა გადგის დროს დაარღვია წესი. მას მეორე ადგილი ზედა წილად. ვაჟთა გუნდური რბოლა 4 კლომეტრზე იხვევ, რომელშიც ლიდერობდა ე. ჯოხაძე, რომელიც დაამყარა რბოლაში ქალთა შორის 200 მეტრზე სვლით — 18,5.

გორც ქალთა შეჯიბრება 3 კლომეტრზე, მოიგეს კიევლებმა. შეჯიბრების შემდეგ დღეს ნ. კოლოტა ვამ კიდევ ერთი შესწორება შეიტანა „სპარტაკის“ რეკორდებში ცხრამეტა ორკლომეტრზე რბოლაში გამოდევნებით მან აჩვენა 2.48,6, რბოლა 100 წრეზე და სალიდერო რბოლა 25 კლომეტრზე მოიგეს ტულელმა ველოსიპედისტებმა.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ტულის წარმომადგენლებმა. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ სპორტსმენებმა ცადეს რეკორდების გამოწვევაც. რამდენიმე ცდა წარმატებით დამთავრდა. ასე მაგალითად ე. ზანდუკელმა გიტში 200 მეტრზე სვლით ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა — 11,0. ძველი რეკორდი ეკუთვნოდა ჯიმშელიშვილს და უდრიდა 12,0. თბილისელმა კარპენკომ ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა რბოლაში ქალთა შორის 200 მეტრზე სვლით — 18,5.

გ. ნაზარინი, პ. გუნიანი, სპორტის ოსტატი.



გ. ზანდუკელი



გ. ჯოხაძე

საქართველოს პირველობა

28 ოქტომბერს ქუთაისში ერთმანეთს შეხვედნენ ადგილობრივი „ტორპედო“ და „კოლმეურნი“ (მახარაძე). ტორპედოელებმა პირველ ტაიმში 2 ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში, რამაც მათ მოუტანა გამარჯვება — 2:0.

თბილისის „ლოკომოტივმა“ ამ მოგებით უკვე გაინაღა საქართველოს 1956 წლის ჩემპიონის წოდება.

გათამაშების ცხრილი I ჯგუფი

მდგომარეობა	4 ნოემბრისათვის	თ. მ. ფ. წ. ბ. ქ.
„ლოკომ.“ თბ.	27 21 4 2	68:12 46
ტრსაი თბ.	27 18 6 3	89:21 42
„დინამო“ ქუთ.	26 15 7 4	48:27 37
„დინამო“ ბათ.	26 13 9 4	51:28 35
„ბურევი.“ ფოთი	26 11 7 8	28:36 29
26 კომ. რ. თბ.	28 10 9 9	41:51 29
„კოლმ.“ მახ.	24 12 4 8	53:40 28
„დინამო“ სოხ.	28 11 6 11	52:57 28
„დინამო“ გორი	26 8 7 11	30:37 23
„კოლმ.“ ქობულ.	24 8 7 9	24:32 23
„ტორპედო“ ქ.	28 9 5 14	44:58 23
„მეტალ.“ რუს.	26 6 6 14	23:49 18
„დინამო“ I თბ.	22 5 4 13	25:52 14
„სპარტაკი“ სტ.	27 4 6 17	22:56 14

თბილისში 1 ნოემბერს თამაშობდნენ ტრამპი-ტროლეიბუსის სამართავლოს გუნდი და მახარაძის „კოლმეურნი“. ანგარიში ვახსენეს ტრამპიელებმა. მთლე სტუმრების კარში გატანილ იქნა მეორე ბურთი. შემდგომში მახარაძელებმა კიდევ ორი ბურთი მიიღეს თავის კარში, რასაც უპასუხეს მხოლოდ ერთით. შესვენების შემდეგ მოწინააღმდეგეთა კარში გატანილ იქნა თითო გოლი და მატჩი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 5:2.

ფოთის „ბურევისტნიკმა“ თავის მინდორზე მიიღო „ლოკომოტივი“ (თბილისი). რკინიგზელებს სრული უპირატესობა ჰქონდათ ორივე ტაიმის განმავლობაში. მათ გამარჯვება ანგარიშით 3:0.

თასის გათამაშება

გრძელდება საქართველოს თასის გათამაშება ფეხბურთში. გორში ერთმანეთს შეხვედნენ ადგილობრივი და ქუთაისის „დინამოს“ გუნდები. პირველი მათი შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1. განმეორებით მატჩი იგივე ანგარიშით დამთავრდა — 1:1. 31 ოქტომბერს ეს გუნდები მესამედ

შეხვედნენ ერთმანეთს. მატჩისათვის დაწესებული 90 წუთის შემდეგ ანგარიში ისევე 1:1 იყო. დამატებით ღრთო გორელმა გოციოძემ გაიტანა მეორე ბურთი და მატჩი მოაგვის მასპინძლებმა, რომლებიც ნახევარფინალში შეხვედრიან თბილისის „ლოკომოტივს“.

ახალი გრამეკლინი

ზამთარი თავის უფლებებში შედის. ბოლო ბაქურიაში გაჩნდება თბილისის ნაკლები. სეზონისათვის მზადება დროულად დაიწყო ყველა მსროლელ ბაზაში, საფუძვლიანად ემუშავა 40 და 70-მეტრიანი ტრამპიონები, საბაგრო გზა, მაგრამ ამ ტრამპიონებზე ვარჯიში მისი სიძლიერის გამო ყოველთვის ხელსაყრელი არაა. ჩვენი ქვეყნის ცნობილი მსროლელებს, სსრ კავშირის ჩემპიონის ე. წაჭაძის, ბ. გავასა და სხვათა მოხერხებით ფეხბურთის რესპუბლიკურმა კომიტეტმა ბაქურიაში მოაწყო ახალი საწერტინო 30-მეტრიანი ტრამპიონი.

ბაქურიაში მდებარე რაიგაპრობის ხელმძღვანელობამ საქაო რაიონობით შემოიხიდა სპორტული ინვენტარი: თბილისურები, საბაგროები, ჯოხები, ფეხსაცმელი, საცხი, სპორტტანსაცმელი.

ბაქურიაში ყველაფერი მიანიჭა რიგზე, ახალი სეზონისათვის მზადების საქმეში შეიმჩნევა სერიალური ნაკლებობები, ეს განსაკუთრებით ბაზების სათბობით მომარაგებაზე ითქმის. ფეხბურთისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის სამთავრობო მხარდასა და დღესათვის უკომპლექსო მხოლოდ 60 კუმბეტრი შემა, რაც ოდნავადაც ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნილებებს. ჭინჭარდება ბინების, საშუაპეზისა და სასაიდლოს შეკეთება.

4 4 დ ა ფ ა ზ ე

შეჯიბრების უკანასკნელ, XI ტურში ყურადღების ცენტრში იყო ოსტატების კლიაინის (რიგა) და სტანეციის (დენიუსი) პარტია. წყდებოდა I ადგილის ბედი. უნდა აღნიშნული თამაშით გაიმარჯვა კლიაინი.

დამთავრდა საქართველოს მასობრივი ტურნირი

ზოლო ბიკიძე-ვახლიძეებთან (ჩელი-ბანსკი).

ამბივალ, ბლაგიძემ მოაგროვა 6 ჭულა, დემურიაძე, კაკაბაძე და გოროჯიძე — 5-5 ჭულა დადგროვეს, ვეტოხინმა — 3 და ბიკიძემ — 2,5. საქართველოს წარგზავნილებმა საშუალო შედეგებით დაამთავრეს შეჯიბრება. მათ უფრო მეტხლოთ უკეთესად ეთამაშათ. ცალკეულ პარტიებში ძლიერი მოწოდების სიმძლავრე იდნენ. მაგალითად, დემურიაძე გამარჯვება ოსტატ გოლდენოვზე კარგად ახსიათებს ზუგდიდელი მოჭადრაკის თამაშს. მაგრამ საერთო შედეგებმა არ შეიძლება დავაკმაყოფილოს. მართალია, მათ თამაშს ხელს უშლდა ზოგიერთი ისეთი რამ, რაც მათზე არ იყო დამოკიდებული, მაგრამ ეს როლი ამართლებს ბიკიძის, რომელმაც სიცილიური დაცვის ცნობილ თეორიულ ვარიანტში ზოხიერი წააგო, ან ვარიანტის, რომელმაც ესპანური პარტიის ერთ-ერთ სისტემაში უმართებულად შეწირა ბიკი და დამარცხდა, არც ბლაგიძესა და კაკაბაძეს, რომლებიც ზოგიერთ შეხვედრაში შემოქმედებით აღტყინების ვარეშე ატარებდნენ.

საკავშირო მასობრივი ტურნირის ჩატარებამ გაამართლა მხოლოდნო. მასში მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის ჰაღარაკის 600 ათასი მოყვარული. პირველად მათგანმა აიმაღლა თანრიგი, გამოვიდა თავი ძლიერ მოჭადრაკეებთან შეხვედრებში.

საკავშირო მასობრივი ტურნირის ჩატარებამ გაამართლა მხოლოდნო. მასში მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის ჰაღარაკის 600 ათასი მოყვარული. პირველად მათგანმა აიმაღლა თანრიგი, გამოვიდა თავი ძლიერ მოჭადრაკეებთან შეხვედრებში.

გოთხილანაშვილის წვრთნა მოსამზადებელ პერიოდში

ცალკეულ მოთხილამურეთა წარმატებების მიუხედავად, ჩვენს სპორტსმენების ოსტაბლურებით ღონისძიებაში, განსაკუთრებით თხილამურებით რბენაში, ჯერ კიდევ საკმაოდ დაბალია.

ძირითადი მიზეზი ჩვენის აზრით მდგომარეობის იმაში, რომ სპორტსმენთა თანრიგისათვის უმეტესობა სახილამურო სპორტს თვლის სეზონურად და ვარჯიშს იწყებს მხოლოდ თოვლის მოსვლის შემდეგ. საბჭოთა კავშირის უძლიერესი მოთხილამურების ე. კუზნისის, პ. კოლჩინის, ფ. ტერენტევისა და სხვათა გამოცდილებამ გვიჩვენა თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტსმენისათვის წინასწარ მოსამზადებელ ვარჯიშს.

მოსამზადებელი პერიოდი ორ ეტაპად იყოფა. პირველი ეტაპის (მისი-გვისტო) ამოცანაა საერთო ფიზიკური მომზადების ღონისძიებები (სისწრაფის, ძალის, გამძლეობის გამოუმუშავება) და კუნთების გუნდის განვითარება. მეორე ეტაპის, რომელიც იწყება სექტემბერში და გრძელდება ნოემბრამდე, მთავარი ამოცანაა საერთო ფიზიკური მომზადების შემდგომი გაუმჯობესება, სისწრაფისა და გამძლეობის ჩვენების შემდგომი სრულყოფა და მოძრაობათა კოორდინაციის განმტკიცება.

წვრთნის როგორც საშუალებების გამოყენება შეიძლება მოსამზადებელ პერიოდში? ერთ-ერთი ძირითადი საშუალებათაგანია არის ვარჯიში რბენაში. წვრთნის დროს საჭიროა რბენა ძლიერ ტემპში (მაღალი თანრიგის მოთხილამურებისათვის ერთი კილომეტრის გავლა 3,10,0-დან 3,30,0-მდე — ხუთკილომეტრიან დისტანციასზე), საშუალო ტემპში (დაახლოებით ერთი კილომეტრი 3,50,0) და დაბალი ტემპში.

რბენა სწრაფ ტემპში უმთავრესად რეკომენდებულია 30-დან 1.000-მდე მონაკვეთზე. წვრთნა თვალდაკრულად უნდა დაგეგმოს პატარა მანძილზე და შემდეგ თანდათანობით გაეზარდოს იგი. წვრთნის მეორე ეტაპზე საჭიროა სარბენი ვარჯიშების ჩატარება 3,5 და 10 კილომეტრზე.

ზაფხულის პერიოდში რბენა შეიძლება 1,5-დან 6 კილომეტრამდე, სექტემბერში აღნიშნული კილომეტრაჟი 35-50 კილომეტრს აღწევს (თვეში), ხოლო ოქტომბერში — 50-70 კილომეტრს. თვიდან თვემდე უნდა გაიზარდოს ვარჯიშის რიცხვი აღმართების დაძლევაშიც.

რბენა საშუალო ტემპში გამოიყენება სიარულთან და სიბიძლიში ჩატარებულ სხვადასხვაგვარ ვარჯიშებთან შენაცვლებაში.

რბენის გარდა მოსამზადებელ პერიოდში მოთხილამურე უნდა აწარმოებდეს ვარჯიშს იმიტაციისაშიც. ასეთი სახის ვარჯიშებს შეადგენენ: შენაცვლებითი, ორნაბეჯიანი სვლის იმიტაცია — ჩვეულებრივ მიწაზე და ქვიშაზე; ჯიხებით ერთდროული სვლის იმიტაცია; თავდაპირველად დაძლევის იმიტაცია — ფერდობზე-

ზე; მოხვევათა შესრულების იმიტაცია (ესეც ფერდობებზე). მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ მოსამზადებელ პერიოდში არ შეიძლება შემოვიფარგლოთ მხოლოდ სიარულითა და რბენით. საჭიროა სპორტის სხვა სახეობათა გამოყენებაც: ცურვის, ნიჩბოსნობის. სპორტული თამაშების, ველოსიპედზე გასეირნების, მიძღვისნობისა და სხვ.

მოთხილამურის მომზადების ხარისხზე მიგვიჩვენებს საკონტროლო ვარჯიშები. მაღალი თანრიგის სპორტსმენებმა ნოემბერში უნდა შეასრულონ შემდეგი ნორმატივები: რბენა 100 მ 12,4—12,6. რბენა 1.000 მ — 2,45,0-მდე. რბენა 3.000 მ — 9,20,0-მდე, რბენა 5.000 მ — 15,30,0-მდე. ხტომა სიგრძეზე ადგილიდან — 2 მ 40 სმ და მეტი და სხვ.

სექტემბერ-ნოემბრის პერიოდში, ე. ი. მოსამზადებელი პერიოდის მეორე ეტაპზე, მაღალი თანრიგის სპორტსმენებს (რომლებიც გამოდიან სახილამურო რბენაში) ვარჯიშისათვის შეიძლება მიუწოდოთ ასეთი გეგმა: კვირა. ძირითადი ამოცანა — სიარული და სისწრაფის, გამძლეობის გამოუმუშავება. მითელა — 15 წუთი, ვარჯიში დასერილ ადგილმდებარეობაზე 3-3,5 საათი (აღმართზე ნაბიჯის მომატებით).

სამშაბათი. ძირითადი ამოცანა — სიარული განვითარება. მითელა 20 წუთი, რბენა სწრაფ ტემპში 3x30 მ, 3x50 მ, 2x100 მ, 2x200 მ, 1x100 მ, 3x50 მ. დასვენება — 20 წუთი (ვარჯიში ამორტიზატორებით ან გატენილი ბურთებით). ვარჯიშთა სერიების განმეორება, კალათბურთის თამაში — 20 წუთი.

ოთხშაბათი. ძირითადი ამოცანა — ძალის, სისწრაფის, მოხერხებულობის, კოორდინაციის ჩვენებათა გამოუმუშავება. მითელა — 15 წუთი, სიარული ველოსიპედით — 2 საათი, საერთო განმეორებელი ვარჯიშები — 30 წუთი, კალათბურთი — 30 წუთი, რბენა მშვიდ ტემპში — 10 წუთი.

პარასკევი. ძირითადი ამოცანა — სისწრაფით გამძლეობის გამოუმუშავება, მითელა — 15 წუთი, თანდათანობით — განმეორებითი ვარჯიშა 5 კმ. 2x200 მ, 2x400 მ, 2x600 მ, 2x400 მ, 2x200 მ, 1x600 მ, 2x400 მ, 2x200 მ.

შაბათი. შეშის დახერხება და დახევა — 2 საათი. დაბალი თანრიგის და ახალბედა მოთხილამურებისათვის, აგრეთვე ქალბავშვების ეს დატვირთვა უნდა შეიძირდეს. შედგენილი გეგმა უნდა იტარებდეს ინდივიდუალურ ხასიათს, სადაც ყურადღება ექნება მიქცეული მოვარჯიშის ფიზიკურ შესაძლებლობას და წლოვანებას. წვრთნა უნდა წარმოებდეს ექიმის ზედამხედველობის ქვეშ.

ზემოთაღნიშნული გეგმა არის საორიენტაციო და იგი არ უნდა მივიღოთ როგორც დოგმა.

ა. არხანგელსკი.

მართონელი მოცურავეები

გასული საუკუნის 90-იან წლებში მოწევი შორეული ვაცურა ბათუმიდან ფოთამდე. შეჯიბრებებში მონაწილეობა მიიღო შეიღმა მოცურავემ, მათ შორის მ. ბედიამაც.

ამინდი ცუდი გამოვიდა — უბერავდა საქმაოდ ძლიერი ჩრდილო-დასავლეთის ქარი, ზღვა ღელავდა.

ასეთ პირობებში, მართლაც, მეტად ძნელი იყო შორ მანძილზე ცურვა. მოცურავეები თითო-თითოდ ტრავმირდნენ დისტანციას და ბოლოს ზღვაში დარჩნა მხოლოდ ერთი კაცი — მაქედ



მართონელი მოცურავეები

ბედი. ამის მიუხედავად იგი გაბედულად მიცურა და წინ. ტალღებს ხან მალა აკავდათ მოცურავე, ხან ძირს აწარტებდნენ მას.

ღამით ზღვა დაწყნარდა. შორს გამოჩნდა სინათლე ფოთის პორტში.

დაღლილი სპორტსმენი გამოვიდა ნაპირზე. არა ხელსაყრელ პირობებში მან გაცურა 53 კილომეტრი. მაგრამ ამ შესანიშნავი მოცურავის სახელით იმ დროს არ გასცილებია თავისი მშობლიური ქალაქის ფარგლებს.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ყურადღება მიექცა ცურვას, კერძოდ, ცურვას შორ მანძილზე.

მაგრამ ბოლო წლებში ჩვენს რესპუბლიკაში სათანადო ყურადღება არ ექცევა შორ მანძილზე ცურვას. ამიტომ მოსაწონია ბათუმის დოსაფის საზღვაო კლუბის ინიციატივა, რომელმაც მოწევი ვაცურა ბათუმში მწევანე კონცხი.

შეჯიბრებებში მონაწილეობა მიიღო



მართონელი მოცურავეები

9 მოცურავემ, რომელთა შორის ერთი ქალი იყო (რ. მამალაძე).

შეჯიბრებას კარგი ამინდი დაეწყო, ზღვა იყო წყნარი. 8 კილომეტრი ყველაზე სწრაფად გაცურა ვ. ჩერნი. შემდეგ, რომლის დროა 2 საათი 15,8 წუთი. მეორე ადგილზე გამოვიდა დ. ლაზაროვი — 2 საათი 21,30 წუთი, მესამეზე — ლ. ფროლოვი — 2 საათი 48,6 წუთი. რ. მამალაძემ შეჯიბრებაში დაიკავა მეექვსე ადგილი.

3. ლაპრინიძე

სურათზე: მარცხნივ — რ. მამალაძე, მართონელის კვება დისციპლინაზე.

შუბის ცუროცნა ახალი მეთოდით

1956 წლის 23 სექტემბერს დამთავრდა შუბის ცუროცნის 80-ე შედეგი. შუბის ცუროცნის მეთოდი დიდ რეზონანსს არ გამოიწვევდა და მას საკმაოდ სექტიკურად მოეცდებოდა, რომ სპორტის სპეციალისტებს ყური არ დაეგდოთ სალკედოს ენერგული მტკიცებისათვის. იგი კი მართლაც საინტერესო ამბავს ჰყვებოდა. თურმე ესპანეთში შიხი თანამგამაღლე, 50 წლის ირაუსკინი ასეთი ხერხით

შუბის 80 მეტრზე შორს ტუროცნა.

ამას დაერთო ესპანეთის მძლეოსანი ერთ-ერთი გავლენიანი წარმომადგენლის ზიგელმოს განცხადება პრესაში, რომლის აზრით, ირაუსკინის ყურადღება რადიონივრით ადრე ესპანელმა რამდენჯერმე მოახდინა შუბის ცუროცნის ახლებური მეთოდის დემონსტრაცია. სალკედო, ისევე როგორც ბადროს ტუროცნის დროს, ზურგით დადგა მოედნისაკენ და ორჯერ შემოტრიალებს შემდეგ იარაღი გაუშვა ხელიდან. შუბი დაეცა 66 მეტრსა და 25 სანტიმეტრზე.

შუბის ცუროცნის ახლებური მეთოდი, რომელსაც იყენებენ ესპანელები, გადმოღებულია დროის ტუროცნისაგან. ეს — ესპანეთის სპორტის ეროვნული სახეობა, რომელიც საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს და რომელსაც განსაკუთრებით სახალხო ზემოების დროს შეხვდებით. ამ ხერხის გამოყენება შუბის ცუროცნაში პირველად ცადა ხოზე იგუარანამ.

ამასთან უნდა ითქვას, რომ დღეს და შუბს შორის არსებობს საკმაოდ დიდი განსხვავება ფორმის, სიგრძისა და წონის. ესპანური ფოლადის დერძი იწონის 3,5 კილოგრამს და აქვს 1,5 მ სიგრძე.

ხოზე იგუარანი, რომელიც საკმაოდ პრინციპული და ტრადიციის მიმდევარი კაცია, ცდილობდა დაერწმუნებინა თავისი შვილი და უფროსი კოლეგა (ერაუსკინი) იმაში, რომ მთავარი ყურადღება მიექციათ დერძის სროლის შესწავლაზე. ამასთან, იგუარანის მტკიცებით, თუ

შუბის მტუროცნაში გამოიყენებენ დერძის სროლის მეთოდს, შედეგები საგრძობლოდ გაუმჯობესდებოდა. ერაუსკინმა მიიღო მხედველობაში ეს არგუმენტი, მაგრამ თავისი კოლეგის სურვილის წინააღმდეგ დაიწყო ვარჯიში შუბის ცუროცნაში.

ადვილი წარმოსადგინია, თუ რა უქმყოფდება გამოიწვია ერაუსკინის ცნობამ იმის შესახებ, რომ სალკედომ დროზე ადრე გამოიყენა „ყუმბარა“, რომლის აფეთქების იგი ფიქრობდა მელბურნში ოლიმპიურ თამაშებზე. ერაუსკინმა გადაწყვიტა რეგულარული ვარჯიშის გადმოხრობას აცნობა, რომ არსებობენ შუბის ახლებური მეთოდით ტუროცნის უფრო ნიჭიერი ოსტატები, ვიდრე სალკედო. ერაუსკინს, რასაკვირველია, მხედველობაში თავისი თავი ჰყავდა.

ესპანეთის პირველობაზე, რომელიც ოქტომბრის პირველ რიცხვებში გაიმართა, ფელოკს ერაუსკინმა შუბი ახალი მეთოდით 74,32 მ ტუროცნა და გაუმჯობესა ნაციონალური რეკორდი 8,07 მეტრით, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ მილბაში 83,40 მ ახვესა შესანიშნავ შედეგად — 83,40 მ.

ერაუსკინის სპორტულ წრეებში ამ შედეგებმა სეროზული გამოხმაურება გამოიწვია. დღის წესრიგში დადგა საკითხი — შეიძლება თუ არა მიხედნულ ექნას კანონმდებელთა და ახლებური მეთოდი?

6. ახვლედიანი

ოლიმპიური

ლ. კრავის ახალი მიღწევა

მელბურნის ოლიმპიურ საცურაო აუზში (სიგრძე 50 მეტრი) გაიმართა ავსტრალიის უძლიერეს მოცურავეთა შეჯიბრება. ლორინ კრავსმა დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 1,02,4. ეს შედეგი 0,8 წამით უმჯობესია მისივე მსოფლიო რეკორდზე, რომელიც მან რამდენიმე დღის წინ დაამყარა სიდნეიში.

ამჟამად ლორინ კრავსს ქალთა შორის ექვთენის ყველა მსოფლიო რეკორდი თავისუფალ სტილით ცურვაში 100 მეტრიდან დაწყებული 800 მეტრ დისტანციებზე.

ამას წინათ ავსტრალიის ქალთა გუნდმა დაამყარა მსოფლიო რეკორდი ამათურებაში თავისუფალი სტილით 4x100 მეტრზე. მელბურნში ეს გუნდი კვლავ გამოვიდა ამ დისტანციაზე. სტარტი აიღო კრავსმა, შემ-

დგომ ეტაპებზე ცურავდნენ ფრენერი, ლიხი და ვიხსონი. როცა ეს უკანასკნელი შეეცო ფინიში, წამში მებმა აღნიშნეს 4 წუთი 19,7 წამი. ეს ახალი მსოფლიო რეკორდია.

ამავე შეჯიბრებაში ავსტრალიელ მოცურავეთა მიერ ნაჩვენებ იქნა რამდენიმე საერთაშორისო კლასის მიღწევა. კერძოდ, ჯ. პენრიკსმა, რომელმაც ამას წინათ დაამყარა მსოფლიო მიღწევა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 55,1, თანასწარნი შედეგით დაამთავრა თავისუფალი სტილით ცურვა 200 მეტრზე — 2 წუთი 0,5 წამი.

რეკორდი კვლავ განახლებულია

ბოლო ხანებში რამდენჯერმე იქნა განახლებული მსოფლიო რეკორდი ქალთა შორის სიბალღზე ხტობაში.

26 ოქტომბერს რეკორდმა კვლავ

ამერიკელი კალსნები ემზადებიან

კალიფორნიის ჩატარდა ამერიკელ მტანგისტთა შეჯიბრება, რომლის შედეგების მიხედვით შეირჩეულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები გუნდი სიმპიზების აწყობაში. მიატე წონაში ჩ. ვინჩმა სამპილის ჯამში დააგროვა 330 კგ. ქვეყნულ მტანგის გუნდის შემადგენლობაში

ოლიმპიური სოფელი გახსნილია

ოლიმპიური საორგანიზაციო კომიტეტის ცნობით, შედგა ოლიმპიური სოფლის ოფიციალური გახსნა. აქ აშენებულია 850 სახლი, სადაც მოთავსდება 4500-ზე მეტი სპორტსმენი. სოფლის ტერიტორიაზე განლაგებულია სამედიცინო სტაციონარი, დარბაზი დასვენებისათვის, რომელიც

შეყვანილია ი. ბერგერი, რომლის შედეგია 337,5 კგ. ტ. კონომ საშუალო წონაში დააგროვა 425 კგ.

ქვემოთ წონაში საუკეთესო აღმართები და შეპარდი (450 კგ), ხოლო მიმეში — პ. ანდრესენი (505 კგ). გუნდის შემადგენლობაში შეყვანილია აგრეთვე ოლიმპიური ჩემპიონი ქვესაშუალო წონაში პ. ჯორჯი. როგორც იტყობინებან, მსუბუქ წონაში მოსალაგებელია დ. ჯორჯის ან ტ. კონოს გადასვლა.

1000 კაცზე მეტს იტევს, ფოსტა, ტელეფონი, 12 სხვადასხვა მაღაზია.

საქმეპრო ჩემპიონატი

მელბურნში ოლიმპიური თამაშების მსვლელობის დროს განზრახულია მოწყოს ავსტრალიის ჩემპიონატის ცეკვებში. შეჯიბრებები იქნება ღია საცეკვაო ჩემპიონატის ორგანიზაცია. ტორები ამჟამად ცდილობენ მიიღონ უფლება, ამათ გამარჯვებულს შედარდონ ალიბუქლოს ოლიმპიური ემბლემა. ამ ახირებულ სურვილს ოლიმპიურმა კომიტეტმა უარით სტყვიდა. კომიტეტის აზრით ბუფა-ფუგის, რუშების, ტანგოსა და ფოქსტროტის ვირტუოზებსა და რბენის, ხტომისა და ტუროცნების ოსტატებს შორის საკმაოდ დიდი განსხვავებაა.

რედაქტორი ი. შუბლაძე.